ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №6
2015 წლის 23 იანვარი

ქ. ვანი

ვანის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ტიპური ფორმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის,საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“ მე-11 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

დამტკიცდეს ვანის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ტიპური ფორმა (დანართი №1).

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ვანის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ალექსანდრე ლილუაშვილი**

დანართი №1

საკუთრების დამადასტურებელი

მოწმობა № ი/წელი-ეა ან სა (ელექტრონული ან საჯარო აუქციონი)

ეძლევა ----------,
(მესაკუთრე, მისამართი და საიდენტიფიკაციო მონაცემები)

რომ მას გადაეცა საკუთრებაში ----------

(ქონების დასახელება, მისამართი, საკადასტრო კოდი)

საფუძველი: ---------- გამართულ ---------- აუქციონში

(თარიღი) (ელექტრონულ ან საჯარო)

გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი № ---- (თარიღი) და მუნიციპალური ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება № ------- (თარიღი)

მოწმობა შედგენილია სამ ეგზემპლარად, ორი ეგზემპლარი გადაეცემა მესაკუთრეს

.....

(მესაკუთრის დასახელება)

რომელიც ერთ ეგზემპლარს წარუდგენს შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოს, ხოლო მესამე ეგზემპლარი ინახება ვანის მუნიციპალიტეტის გამგეობაში. მოწმობა ძალაშია ნასყიდობის ხელშეკრულებასთან ერთად, რომელიც მოწმობის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

გაცემის თარიღი: „ .....”.....” 20 ... წელი